მარიამ ხამიცაშვილი
„უახლესი ისტორიის ცენტრის“ მკვლევარი
khamitsashvilim@gmail.com

სემინოლების მეორე ომი: ბრძოლა ტერიტორიისა და თავისუფლებისთვის

საკვანძო სიტყვები: სემინოლები, დეიდის ბრძოლა, გეინსის კამპანიის, სკოტის კამპანია, ქოლის კამპანია, ჯესაპის კამპანია, ტეილორის კამპანია, არმისტედის კამპანია, უორტის კამპანია

Keywords: Seminoles, Dade battle, Gaines' campaign, Scott's campaign, Call's campaign, Jesup's campaigns, Taylor's campaign, Armistead's campaigns, Worth's campaign

სემინოლების მეორე ომი, რომელიც გადამწყვეტი მომენტი იყო ამერიკის ისტორიასა და სემინოლების ყოველდღიურობაში, ქართულ რეალობაში უცნობი თემაა და ქართულ სამეცნიერო სივრცეში შეუსწავლელი საკითხია. წინამდებარე სტატიაში, შევეცდებით მეტად ნათლად და გასაგებად გადმოვცეთ მე-19 საუკუნის დაპირისპირება და ომის სასტიკი კამპანიები, რომელიც შტატებსა და სემინოლებს შორის წარიმართა. სემინოლების მეორე ომის შესწავლა არ არის მხოლოდ მოგზაურობა წარსულში, არამედ ეს არის შესაძლებლობა, ნათელი მოჰფინოს მივიწყებულ ეპიზოდს, რომელმაც ხელი შეუწყო ამერიკის ისტორიის მსვლელობას. შევეცდებით ამ სტატიაში გავცეთ პასუხები კითხვებს: როგორი იყო ომის მსვლელობა? ვის სასარგებლოდ წარიმართა ომი? რა შედეგები მოუტანა როგორც ამერიკელებს, ასევე თავად სემინოლებს და როგორ შეიცვალა მათი ცხოვრება ამ ომის შემდეგ?

სემინოლების მეორე ომი, სასტიკი და გაჭიანურებული კონფლიქტი, ფლორიდის ნახევარკუნძულის შუაგულში მიმდინარეობდა 1835 წლიდან 1842 წლამდე. სწორედ ამ ომმა გამოააშკარავა, თუ რამხელა წინააღმდეგობა არსებობდა ადგილობრივი ტომების წინააღმდეგ და სამუდამოდ შეცვალა ომში მონაწილეთა ყოველდღიური ცხოვრება. ეს იყო ომი, შეტაკება შეერთებული შტატების მთავრობასა და სემინოლ ხალხს, და მათთან ერთად, აფროამერიკელ მოკავშირეებს შორის, რომელიც ტერიტორიული დავების, კონფლიქტური კულტურული ინტერესებისა და პოლიტიკური დაძაბულობის კომპლექსური ქსელით ხასიათდებოდა და თავის დროზე ერთ-ერთ ყველაზე რთულ და ძვირადღირებულ სამხედრო კამპანიას წარმოადგენდა. წინამდებარე სტატიაში ჩავუღრმავდებით სემინოლების მეორე ომის მოვლენებს, წამყვან ფიგურებს, ერის ტერიტორიული გაფართოების დაუნდობელ სწრაფვასა და ადგილობრივი მოსახლეობის უფლებებისთვის ბრძოლას.

იმ ყველა მიზეზთა ერთობლიობამ, როგორებიც იყო: ტერიტორიული დავა, ინდიელთა გადასახლების კანონი[1], სემინოლების დაუმორჩილებლობა და

[1] 1830 წელს მათ მიიღეს ინდიელთა გადასახლების კანონი, რომლის მიზანი იყო

წინააღმდეგობა, გაქცეული მონები[2], თავდასხმები და კორუფცია, წარმოშვა სემინოლების მეორე ომის აუცილებლობა, ბრძოლა დაკარგული ტერიტორიისა და თავისუფლებისთვის. ეს ომი მოიცავდა მრავალ სამხედრო კამპანიას, გრძელვადიან პარტიზანულ ომებსა და უამრავ შეწირულ სიცოცხლეს ორივე მხარისათვის.

ვფიქრობთ, ომის განხილვის საწყის ეტაპად უნდა ავიღოთ 1835 წლის მოვლენები, რაც ამერიკის ისტორიაში შესულია როგორც „დეიდის ხოცვა-ჟლეტა". ყველაფერი იქიდან იწყება, როდესაც სამხედრო ოფიცრები მიხვდნენ, რომ სემინოლებს გადაწყვეტილი ჰქონდათ მათთვის წინააღმდეგობის გაწევა. 1835 წლის იანვრისთვის სახელმწიფო მოხელეები სემინოლებს ქვეყნის მთავარ საფრთხედ აღიქვამდნენ. გენერალმა კლინჩმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა ადგილობრივი მოსახლეობის გადაყვანა „ინდიელთა ტერიტორიაზე", წერილი გაგზავნა ვაშინგტონში, სადაც იტყობინებოდა, რომ უბრალო სიტყვების ნაცვლად, ძალის გამოყენება იყო საჭირო და აფრთხილებდა მთავრობას, რომ თუ ძალას არ გამოიყენებდნენ, დაირღვეოდა საზღვრის უსაფრთხოება სემინოლების, შავკანიანი სემინოლებისა და უბრალოდ შავკანიანების ერთიანი ძალის გამოყენებით. „რაც უფრო მეტს ვაკვირდები ინდიელების ამ ტომს, მით უფრო სრულიად ვრწმუნდები, რომ ისინი სულაც არ აპირებენ შეასრულონ თავიანთი ხელშეკრულების პირობები, მანამ, სანამ არ ვაიძულებთ ამის გაკეთებას უფრო ძლიერი ძალით, უბრალო სიტყვების ნაცვლად – მათი ყურადღება სრულიად გადმოტანილი იყო ამ უცხო და განსხვავებულ ადამიანებზე, რომელთანაც არანაირი მოლაპარაკება არ გაჭრიდა, გარდა ძალადობისა – და თუ საკმარისი სამხედრო ძალა არ გაიგზავნება, ისინი ამ ტერიტორიიდან არ გადავლენ და შეიძლება მთელი საზღვარი მოიშალოს ინდიელების, შავკანიანი ინდიელებისა და შავკანიანების ერთიანობით" (Carter 1835: 99-100). ფორტ კინგში განლაგებული ასეული, საკმარისი არ აღმოჩნდა ინდიელთა დაუმორჩილებლობის აღსაკვეთად და საჭირო გახდა, ფორტ ბრუკში მყოფი ორი შენაერთის გადასვლა მაიორ ფრენსის დეიდის მეთაურობით. მისი ასეული 110 კაცს ითვლიდა. სემინოლებს ხელმძღვანელობდნენ სემინოლების ტომის ბელადი მიკანოპია და ერთ-ერთი ლიდერი ჯონ ჯამპერი, რომლებიც 5 დღის განმავლობაში ჩასაფრებულნი იყვნენ და ელოდნენ ასეულის გამოჩენას, რასაც ამერიკელი ჯარისკაცები არმიის გამოჩენას, რასაც ამერიკელთა რაზმი ვერც კი ივარაუდებდა. ისინი ჯერ მზადაც არ იყვნენ ომის დასაწყებად. შედეგად, სემინოლებმა დაასწრეს და პირველებმა გაუხსნეს ცეცხლი, რასაც დიდი მსხვერპლიც მოჰყვა (Anderson 2013: 37). როგორც ამას თვითმხილველი, ერთ-ერთი ლიდერი „ალიგატორი" (როგორც ამერიკელები უწოდებდნენ) ჰყვება, ჯამპერმა გასცა ბრძანება, მიკანოპიამ კი თოფი ისროლა, ანუ სიგნალით დათანხმდა, რომ ყველა ინდიელი თავის ადგილზე იდგა და ცეცხლი უნდა გაეხსნათ შტა-

ადგილობრივ ტომებს საკუთარი ნებით, დაძალების გარეშე, გაეცვალათ ტერიტორია, ფლორიდის სანაცვლოდ უნდა გადასულიყვნენ „ინდიელთა ტერიტორიაზე", ანუ დღევანდელ ოკლაჰომას შტატში.

[2] იგულისხმებიან ჯორჯიის შტატიდან გაქცეული შავკანიანი მონები, რომლებიც თავს აფარებდნენ სემინოლების დასახალებებს ფლორიდაში.

ტების რაზმისთვის. თეთრკანიანთა უმეტესი ნაწილი, 100-ზე მეტი მეომარი, ადგილზევე დაიღუპა. ჩვენი ცნობებით, მხოლოდ სამი ადამიანი გადაურჩა ამ ბრძოლას – კლარკი, ჯონ თომასი და ჯოზე სპრაგი და ისინიც უკან, ფორტ ბრუკ-ში დაბრუნდნენ (Field 2009: 9-10). რიგითმა კლარკმა, რომელიც მეტად მძიმედ იყო დაშავებული, აღწერა ეს ბრძოლა შემდგომ ინტერვიუებშიც. შავკანიანი თარჯიმანი და გიდი ლუის ფატიო პაჩენკო, სემინოლებმა დაატყვევეს, წლების შემდეგ კი, როცა ეს ბრძოლა ცნობილი გახდა ყველასთვის, ჩაწერა ინტერვიუ-ები და აღწერა თავისი გამოცდილება, თუ როგორი იყო „დეიდის ხოცვა-ჟლეტა“ (Heredia, Cabail 2016: 1). ომზე აქტიურად წერდა პრესაც და ომის დეტალებს გა-ნიხილავდა. ერთ-ერთი გაზეთის სტატიაში ვკითხულობთ, რომ „ინდიელებმა ყველას სკალპები აიღეს. სკალპები მოხსნეს მთლიანად თავის გარშემო, სა-დაც მთავრდება თმა და დაამსხვრიეს თავის ქალები. როჯერის და საგსის თა-ვის ქალები შოკისმომგვრელად განადგურებული იყო“ (Homans 1836: 11). უსკალ-პო და დამსხვრეულმა თავის ქალებმა მოსახლეობაში სემინოლები ველურ ადამიანებად წარმოაჩინა და მათ იმიჯზე უარყოფითად იმოქმედა. ერთ-ერთმა გაზეთმა, „New York Herald“-მა განაცხადა, რომ „ძველ შტატებში (იგულისხმება ყოფილი 13 კოლონია და ახლა უკვე შტატები – მ. ხ.) ფუფუნებაში აღზრდილი და ფლორიდაში გადაყვანილი მაღალი რანგის გამორჩეული ოჯახები, ფესვები და ტოტები, ტომაჰავკითა[3] და სკალპირების დანით, ან უფრო ხანგრძლივი და მტრის სისუსტეზე ზუსტად გათვლილი წამებით დაეცა“ (Bennett 1836: 2).

ფომმა ნათლად წარმოაჩინა ის უპირატესობები, რაც სემინოლებს გააჩ-ნდათ. მათმა ტაქტიკურმა სვლამ და მოულოდნელმა შეტევამ, დააბნია თეთრკა-ნიანთა არმია და მტერს გეგმის განხორციელება არ დასცალდა. სემინოლებმა იცოდნენ ჯარისკაცების მარშრუტი, რა მიმართულებით გადაადგილდებოდნენ და აირჩიეს ხელსაყრელი პოზიცია შეტევისთვის. საინტერესოა გავიგოთ, საი-დან იცოდნენ თეთრკანიანი ჯარისკაცების გადაადგილების მარშრუტი. შესაძ-ლოა ვივარაუდოთ, რომ სემინოლებს მზვერავები ან ჯაშუშები ჰყავდათ. მათ კავშირი ჰქონდათ როგორც მეზობელ, ამასთანავე სხვა ტერიტორიაზე მცხოვ-რებ ტომებთანაც და ამიტომაც ინფორმაციის მიღება მარტივი ხდებოდა, თა-ნაც ეს ტომები სემინოლებს თანაუგრძნობდნენ და მიესალმებოდნენ მათ გა-მბედაობას. არ გამოვრიცხავთ, რომ ჯარისკაცების გადაადგილების შესახებ ინფორმაციის მიღება კვალის აღების მეშვეობითაც იყო შესაძლებელი.

სემინოლებმა გამოიყენეს პარტიზანული ომის ტაქტიკა. მათ კარგად იცოდ-ნენ, რომ ამ გეგმას ხელს შეუწყობდა ფლორიდის რელიეფი, ჭაობები, რომე-ლიც მრავლად იყო ამ ტერიტორიაზე და მცენარეები, რომელიც დაფარავდა მათ. მოულოდნელობამ და ფარული პოზიციებიდან შეტევამ, მათ გეგმას უპი-რატესობა მიანიჭა. გარდა სტრატეგიული ადგილმდებარეობისა, უნდა აღინიშ-ნოს თავად სემინოლების მეომრული ხასიათი და სიზუსტე სროლაში. პროფე-სიონალიზმი სროლაში. სემინოლები შეიარაღებულნი იყვნენ ცეცხლსასროლი იარაღით, რომელიც ან ტყვეებს ჩამოართვეს, ან შეიძინეს (Anderson 2013: 22). ამერიკელთა არმიის მოუმზადებლობამ და მზადყოფნის ნაკლებობამ, მრავა-

[3] ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა საბრძოლო იარაღი. ხისტარიანი ნაჯახის მსგავსი. იყენებდნენ შორი მანძილიდან სასროლად.

ლი ადამიანის, და მათ შორის, მაიორ – დეიდის სიკვდილიც გამოიწვია. ეს ომი იყო დასაწყისი ხანგრძლივი და რთული კონფლიქტის გაგრძელებისა აშშ-ის არმიასა და სემინოლებს შორის.

დეიდის ბრძოლამ და წარუმატებლობამ შეაშფოთა და ააღელვა მოსახლეობა ვაშინგტონში. ამერიკის მოსახლეობა მიხვდა, რომ ამ ხალხს მარტივად ვერ დაიმორჩილებდა და ეს ომი გაჭიანურდებოდა, ამიტომაც გამოყვეს დიდძალი თანხა, 620 000 დოლარის რაოდენობით. მოხალისეები გამოჰყავდათ ალაბამას, ჯორჯიისა და სამხრეთ კაროლინას შტატებიდან, რათა გაეძლიერებინათ რეგულარული არმია, რომელიც იმ დროისთვის მხოლოდ 7,500 კაცს ითვლიდა. დასავლეთის სამხედრო დეპარტამენტის მეთაურმა ედმუნდ გეინსმა შეკრიბა 1100 კაციანი არმია ნიუ ორლეანში. არმია შედგებოდა ლუიზიანადან გამოყვანილი მოხალისეებისგან, რომლებსაც პოლკოვნიკი პერსიფერ სმიტი მეთაურობდა და მე-4 ქვეითი არმიის რამდენიმე ჯარისკაცი. როდესაც ჩავიდნენ ფლორიდაში, იმ ტერიტორიისკენ გაემართნენ, სადაც სემინოლებს ჰყავდათ შეკრებილი თავიანთი არმია. მათ იმ გარდაცვლილთა გვამები დახვდათ, რომლებიც დეიდის ბრძოლის დროს დაიღუპნენ. გარდაცვლილები დამარხეს დიდ ორმოში და მიაღწიეს ფორტ კინგამდე, სადაც მტრულად განწყობილი სემინოლები ელოდნენ. რადგან საკვების არასაკმარისი მარაგი ჰქონდათ, გადაწყვიტეს, უკან გაბრუნებულიყვნენ (Field 2009: 10-11). თუმცა, როდესაც სემინოლებმა გაიგეს, რომ მათი გაჩერების ადგილთან ახლოს იმყოფებოდნენ შტატების მეომრები, ყველა სემინოლი, მათ შორის ქალებიც, მოემზადნენ დასახვედრად. სემინოლები უითლაკუჩის გადაკვეთაზე დახვდნენ ამერიკის არმიას. ამის შესახებ პრესაც წერდა და 2 მარტს გამოაქვეყნეს, დილის 10 საათზე განხორციელებული შეტაკების შესახებ. „გეინსი ახლა გარშემორტყმულია ინდიელებით და ყველანაირ კომუნიკაციას მოწყვეტილია. მისი ყველა რესურსი ამოწურულია. დაახლოებით 50 კაცია დაჭრილი, დანარჩენები ყოველდღიურად ცუდად ხდებიან. მას არანაირი მოტივი არ აქვს იმის, რომ ეს ხალხი გადაიყვანოს უსაფრთხო ტერიტორიაზე, რაც შესაძლებლობას აძლევს, რომ უკან დაიხიოს. გენერალი გეინსი მრგვალი ტყვიით[4] ნიკაპში დაჭრილი იყო, თუმცა არ მიუყენებია დიდი ზიანი. როგორც ჩანს, ის ვერ ბედავდა თავდაცვითი მიწაყრილის[5] დატოვებას, ამიტომ ინდიელები მიუახლოვდნენ და ახლოდან ესროლეს“ (Palmer 1836: 1). მიუხედავად იმისა, რომ გეინს მეტად ბევრი მეომარი ჰყავდა, გადაწყვიტა დახმარება ეთხოვა ფორტ დრეინისათვის, თუმცა 800 სემინოლისა და 170 შავკანიანი მეომრის ალყიდან თავის დაღწევა არც თუ ისე მარტივი გამოდგა. სამ თვიანი მძიმე ბრძოლის შემდეგ, სემინოლებმა გადაწყვიტეს, შეეთავაზებინათ ამერიკის არმიისთვის შეხვედრა და მოლაპარაკება. მოლაპარაკება გულისხმობდა ომის შეწყვეტას და მზად იყვნენ სემინოლთა ლიდერები – ოცეოლა, ალიგატორი, აბრაჰამი და კიდევ სხვები მიახლოებოდნენ ლურჯ ტანსაცმელში გამოწყობილ ხალხს და მოლაპარაკებები დაეწყოთ. თუმცა განუცხადეს, რომ გეინს არ ჰქონდა უფლება ომი შეეწყვიტა ან თუნდაც მოლაპარაკებები ეწარმოებინა სემინოლებთან (Covington 2017: 85).

[4] ინგლისური ტერმინით – Spent ball.
[5] ინგლისური ტერმინით – Breastwork.

არც გეინსის კამპანიის დროს არ დამარცხებულან სემინოლები. ვფიქრობთ, რომ გამარჯვება ისევ გარემო პირობებისა და ტერიტორიის კარგად ცოდნას შეიძლება დავუკავშიროთ. გეინსის ლოჯისტიკურმა პრობლემებმა, რომელიც ვერ გვარდებოდა, ამერიკის არმია დაამარცხა, თუმცა, დამარცხების მიუხედავად, მათ სემინოლი მეომრები დაატყვევეს, გადაწვეს და გაანადგურეს სოფლები, რითაც შეამცირეს ინდიელთა წინააღმდეგობა. სემინოლების მეომრები ისევ იყენებდნენ პარტიზანულ ტაქტიკას და ჰქონდათ ცოდნა იმ რელიეფის შესახებ, სადაც უწევდათ ბრძოლა, ეს კი ურთულებდა აშშ-ის ძალებს მნიშვნელოვანი უპირატესობის მოპოვებას.

გენერალ სკოტის კამპანიაც არაფრით არ გამოირჩეოდა და შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი მისია ვერ განახორციელეს. გენერალი სემინოლების ციხე-სიმაგრეებისთვის შეტევას ერთდროულად სამი მხრიდან გეგმავდა. ერთი შეხედვით, ეს მართლაც იდეალური გეგმა იყო, რადგან სემინოლები აირჩევდნენ დანებებას დამარცხების ნაცვლად (Knetsch 2003: 89). თუმცა, ეს გეგმა ჩავარდა მას შემდეგ, რაც ორმა ფრთამ ადგილზე მისვლა დააგვიანა და არათუ ერთდროულად, არამედ ცალ-ცალკე მოუწიათ წინააღმდეგობის გაწევა. არმიის დამარცხება რამდენიმე მიზეზს შეიძლება დავუკავშიროთ. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ რეგულარული არმიის სიმცირე. იგი დაახ. მხოლოდ 4,000 მეომარს ითვლიდა (Buker 1997: 13). ისტორიკოსი ჯო ნეში თვლის, რომ არმიის მიმართ არ არსებობდა ნდობა მთავრობის მხრიდან და უფრო მეტი საზრუნავი იყო, თუნდაც საზღვის დაცვა ან ახალი ტერიტორიების ათვისება (Knetsch 2003: 54-55).

შემდგომი, ვინც ახალი კამპანია წამოიწყო სემინოლების წინააღმდეგ, რიჩარდ ქოლია. ქოლის გეგმის მიხედვით, არმია უნდა შემდგარიყო მოხალისე ჯარების, მეგობრულად განწყობილი კრიკებისა[6] და რეგულარული არმიისგან, რომელიც გამოყენებული იქნებოდა სემინოლების წინააღმდეგ კამპანიაში. ფიქრობდნენ, რომ კამპანიის წამოწყება ზაფხულში ხელსაყრელი არ იქნებოდა, რადგან ბევრი ჯარისკაცი დაავადდა და სიცხეც ხელს შეუშლიდათ. ნოემბერში, როდესაც ტემპერატურამ საგრძნობლად იკლო, გაერთიანებულმა არმიამ, რომელთა რაოდენობა სულ 2500 კაცს შეადგენდა, მოახერხა და მიუახლოვდა სემინოლების იმ ტერიტორიას, საიდანაც აქტიურად იბრძოდნენ. მართალია, არმიას ერთგული ინდიელებიც ეხმარებოდნენ, თუმცა მათმა თაობამ არ იცოდა ფლორიდის ტერიტორიის სირთულეები (Covington 2017: 89).

ქოლის კამპანია წინა სხვა კამპანიებთან შედარებით განსხვავდებოდა იმ მხრივ, რომ მან შტატების მოსახლეობის გარდა, ომში ჩართო კრიკებიც, ანუ, ინდიელ მოსახლეობას თავად ინდიელები დაუპირისპირა. ვერ ვიტყვით, რომ ქოლის კამპანიას რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა, თუმცა ფაქტია, რომ მათ შეაფერხეს სემინოლების წინსვლა, გაუნადგურეს ნათესები და სემინოლების ზოგიერთი ლიდერიც დაატყვევეს. სემინოლების წინააღმდეგ წარმოებული ომები აქ არ დასრულებულა და კიდევ დიდი ხანი გრძელდებოდა.

[6] ჩრდილო ამერიკის ინდიელთა ტომების გაერთიანება, რომლებიც ცხოვრობდნენ ჯორჯიისა და ალაბამის ტერიტორიაზე.

მას შემდეგ, რაც გეინსისა და სკოტის კამპანიებმა არ გაამართლა, მათ ვერ მოიგერიეს სემინოლები, ახლა იმავეს გაკეთება თომას სინდი ჯესაპს დაევალა. იგი ინდიელებთან ბრძოლაში გამოცდილი გენერალი იყო, ჩაახშო კრიკების აჯანყება დასავლეთ ჯორჯიასა და აღმოსავლეთ ალაბამაში 1836 წელს. ჯესაპს სხვა შეხედულება და მიდგომა ჰქონდა წინა გენერლებისგან განსხვავებით, თუ როგორ უნდა წარემართა ომი. იგი ფიქრობდა, რომ უფრო დიდი სამხედრო დანაყოფის საშუალებით უნდა ჩაეხშოთ წინააღმდეგობა, რაც საფრთხეს შეუქმნიდა სემინოლების ოჯახებსა და რესურსებს. საბოლოოდ, მას ექვემდებარებოდა 9,000-ზე მეტი მეომარი, რომელთაგან ნახევარი შედგებოდა რეგულარული არმიის ჯარებისგან და ამას ემატებოდა საზღვაო ქვეითთა ბატალიონი, რომელიც შედგებოდა 38 ოფიცრისა და არმიაში ჩარიცხული დაახ. 400 მეომრისგან. ეს ციფრები განსხვავებულია სხვა ავტორებთან. კოვინგკტონი თავის წიგნში – „The Seminoles of Florida“, ასახელებს 800 მეომარს (Covington 2017: 83). ჯესაპი ოპტიმისტურად უყურებდა ამ ომს და მის მიმდინარე მოვლენებს. იგი ზაქარი ტეილორს სწერდა კიდეც, რომ „ომი, რა თქმა უნდა, ზამთარში დასრულდება“ (Rizzi 2016: 412). ეს წინადადება შეიძლება სასაცილოდაც მოგვეჩვენოს, თუკი დღევანდელი გადმოსახედიდან შევაფასებთ, რადგან სემინოლების მეორე ომი არათუ 1837 წლის ზამთარში დამთავრდა, არამედ კიდევ 5 წელი გაგრძელდა. თუმცა, შეიძლება, რომ ამ სიტყვებს უფრო ღრმა მნიშვნელობა მივანიჭოთ და ვივარაუდოთ, რომ ჯესაპი ამ შემთხვევაში გულისხმობდა იმას, რომ სურდა, ბრძოლა მალე დასრულებულიყო, რადგან ისედაც დიდხანს გაგრძელდა და დიდძალი თანხებიც იხარჯებოდა.

საზღვაო ქვეითები, რომელთაც არჩიბალდ ჰენდერსონი მეთაურობდა, ვაშინგტონის ყაზარმებიდან სამხრეთისკენ გაემართნენ კრიკების ომში მონაწილეობის მისაღებად, თუმცა მალევე მიიღეს ბრძანება, რომ შეერთებოდნენ ჯესაპის არმიას სექტემბერში და მონაწილეობა მიეღოთ სემინოლებთან ბრძოლაში, რომელიც 1837 წლის 27 იანვარს განხორციელდა. ჰენდერსონის არმია რეგულარული წევრების, ჯორჯიელი მოხალისეებისა და მეგობრულად განწყობილი კრიკებისგან შედგებოდა. ისინი თავს დაესხნენ სემინოლებს მდინარე ჰეჩი-ლასტის მახლობლად, სადაც ტყვედ აიყვანეს „ორი ინდიელი ქალი და სამი ბავშვი, 23 შავკანიანი, ახალგაზრდები და მოხუცები. ასზე მეტი პონი, აქედან 50 ტვირთით. ყველა მათი ტანსაცმელი, საბნები და სხვა ბარგი მიტოვებული იყო მტრებისგან (იგულისხმებიან სემინოლები – მ. ხ.), ზოგი ჩვენს მიერ იყო წაღებული ან განადგურებული“ (Sprague 1848: 176). სემინოლი მეომრები ჭაობებში გაიქცნენ, თუმცა დაედევნნენ საზღვაო ქვეითები და დაიჭირეს რამდენიმე სემინოლი. სემინოლების მეორე ომის გამორჩეული ლიდერი – ოცეოლა ღელავდა ამის გამო. იგი ყოველთვის მიმართავდა მეომრებს, რომ ქალებს და ბავშვებს არ უნდა შეხებოდნენ. სამწუხაროდ, არც თეთრკანიანი ტყვეები არ ჰყავდათ, რომ გაეცვალათ მათში (Hatch 2012: 308).

ბრძოლა კიდევ ერთი თვის განმავლობაში გაგრძელდა, თუმცა სემინოლი მეომრები იძულებულნი გახდნენ ზავი დაედოთ 1837 წლის მარტში და გადასულიყვნენ დასავლეთისკენ. მათ მოუწიათ ოჯახებისა და საკვების მთავარი წყა-

როს დაკარგვა. მაისის ბოლოს მიკანოპია დანებდა, თუმცა არ დანებებულან ოცეოლა და მოხუცი არპიუკი, რომელსაც სემ ჯონსის სახელითაც იცნობდნენ. 1837 წლის 3 ივნისს დილით, ფორტ ბრუკში შეკრებილი თითქმის 700 კაცი, ქალები და ბავშვები ღამით გაიქცნენ (Sprague 1848: 179-180). ისინი გაგზავნეს დასავლეთის მიწებზე, თუმცა ეს არ იყო დასასრული.

ომი ისევ დაიწყო. მიუხედავად გავრცელებული დაავადებისა და ფინანსური კრიზისისა, აშშ-ის კონგრესმა გამოყო კიდევ 1,6 მილიონი დოლარი ომის წარმართვისთვის. ახლა ბრძოლა უნდა გადასულიყო არა სემინოლებზე, არამედ თავად შავკანიან მოსახლეობაზე. გენერალი ჯესაპი წერდა ჯორჯიის გუბერნატორს, რომ „ეს არის შავკანიანების და არა ინდიელების ომი. და თუ ის სწრაფად არ ჩაიშალა, სამხრეთი იგრძნობს მის შედეგებს თავისი მონების მაგალითზე მომდევნო სეზონის დასრულებამდე“ (Hatch 2012: 315). ბრძოლები მიმდინარეობდა 1837 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე, სემინოლების რამდენიმე მეთაური, მათ შორის ველური კატა და ოცეოლაც ტყვედ ჩავარდნენ მოტყუებით, რომლებიც ფორტ მარიონში წაიყვანეს. ტყვეობაში მყოფი ოცეოლა საკმაოდ ცუდად იყო, მას ციებ-ცხელება დაემართა და ვეღარ ახერხებდა ომის გაგრძელებას, თუმცა დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს. დოქტორი რობერტ ლები წერდა, რომ „ოცეოლა მგრძნობიარე იყო და აინტერესებდა ახალი ამბის მოსმენა ფლორიდაზე“. ოცეოლას ბიოგრაფი თომას სტოროუ წერდა, რომ ოცეოლა კეთილგანწყობით სარგებლობდა იმ ოფიცრებთან, რომელთან ერთადაც იმყოფებოდა ციხე-სიმაგრეში და მათ ხშირად აკრიტიკებდა, თუ როგორ ვერ შეძლეს ამდენი ხანი სემინოლების დამარცხება, და რომ არასწორ სტრატეგიას იყენებდნენ მათ წინააღმდეგ (Hatch 2012: 405). ოცეოლა, სემინოლების დიდი და გამორჩეული ლიდერი სამხრეთ კაროლინაში, ჩარლსტონში, ფორტ მოულტრიში დაპატიმრებული, 1838 წელს 30 იანვარს, საღამოს ექვს საათზე გარდაიცვალა. მან სიკვდილის წინ მოითხოვა (მიუხედავად იმისა, რომ ვერ საუბრობდა) ჩაეცმიათ მისთვის ის ტანსაცმელი, რომელიც ომის დროს ეცვა. სიკვდილის წინ გამოემშვიდობა ყველა ოფიცერს, ცოლსა და შვილებს, დაწვა და ბოლო ამოსუნთვის წინ გაიღიმა (Hatch 2012: 410).

ოცეოლას გარდაცვალებით ბრძოლა არ შეწყვეტილა. 1838 წლის აპრილში ომი განახლდა და არმიას სათავეში უკვე ზაქარი ტეილორი ჩაუდგა მცირე ძალებით, რომელსაც ევალებოდა ჩრდილოეთ ფლორიდის შენარჩუნება, რათა დევნილებს უკან დაბრუნება არ შესძლებოდათ. ტეილორმაც მიმართა სკოტის ტაქტიკას და ააშენა სამხედრო პოსტები. სემინოლები განაგრძობდნენ დარბევას. ვაშინგტონში მოხარულები არ იყვნენ ომის გაგრძელებით, რადგან ძალიან დიდი რესურსი იხარჯებოდა, ამიტომ გადაწყვიტეს კვლავ ეცადათ ხელშეკრულების გაფორმება სემინოლებთან და ამ საქმისთვის ამერიკის შეერთებული შტატების მერვე პრეზიდენტმა მარტინ ვან ბიურენმა გაგზავნა გენერალი ალექსანდრ მაკომბი. სემინოლები თავდაპირველად არ თანხმდებოდნენ ამ ხელშეკრულებას, რადგან ახსოვდათ წარსული, დარღვეული შეთანხმებები და დახოცილი წინაპრები, თუმცა საბოლოოდ არპიუკიმ გაგზავნა თავისი არჩეული მემკვიდრე და 1839 წლის 19 მაისს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის

ძალითაც სემინოლები შეწყვეტდნენ ბრძოლას სამხრეთ ფლორიდაში გადასვლის სანაცვლოდ (Scallet 2011: 294-295).

შეთანხმება რამდენიმე თვე გაგრძელდა, მაგრამ, საბოლოოდ მაინც დაირღვა, როდესაც 23 ივლისს პოსტს თავს დაესხა მასზე ათჯერ მეტი ძალა. ვარაუდობდნენ, რომ ეს არპიუკი და მისი ხალხი იყო, თუმცა, იმის დასამტკიცებლად, რომ ეს მას არ ჩაუდენია, განაცხადა, რომ ამის ჩამდენს 33 დღის განმავლობაში გადასცემდა არმიას. მაჰონისა და სპრეგის წიგნების მიხედვით 160 კაციანი ინდიელთა ჯგუფი ორად გაიყო, რომელთა ერთ ნაწილს ჩაკაიკა, ხოლო მეორე ნაწილს ჰოსპეტარკი მეთაურობდნენ (Mahon 1985: 261-262; Sprague 1848: 233). სემინოლებს, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ, კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ჯარისკაცებთან, იმდენად კარგი, რომ რიტუალზეც კი მიიწვიეს. ამერიკელი ჯარისკაცები არ ენდობოდნენ სემინოლებს და ამაში დარწმუნდნენ მაშინაც, როდესაც 2 ჯარისკაცი და შავკანიანი თარჯიმანი გაგზავნეს და ისინი დახოცეს, თარჯიმანი კი უკან დაბრუნდა. ომი კვლავ განახლდა (Field 2009: 16).

ზაქარი ტეილორის, გენერლის, რომელიც შემდგომ გახდა ამერიკის შეერთებული შტატების მე-12 პრეზიდენტი, კამპანიამ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სემინოლების მეორე ომში, რომელსაც რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა. მათ შორის იყო, ოკიჩობის ბრძოლა 1837 წლის 25 დეკემბერს. ამ ბრძოლაში ტეილორის ძალები შეეჯახნენ სემინოლი მეომრების დიდი ჯგუფის ლიდერის – ალიგატორის მეომრებს. კამპანიამ შეასუსტა სემინოლების წინააღმდეგობა სამხედრო მოქმედებებისა და ჩართულობის გზით. გაანადგურეს სემინოლების სოფლები და შეაფერხეს მათი მომარაგების წყაროები. ამ ქმედებებმა დაანახა სემინოლებს, რომ მათი გამარჯვების შანსები ძალიან მცირე იყო (White Jr. 1950: 148).

1839 წლის მაისში ზაქარი ტეილორის ნაცვლად უოკერ არმისტედი დაინიშნა, რომელიც მაშინვე გადავიდა შეტევაზე, რათა დაერბიათ თავად სემინოლები და სემინოლების სახლები, გაენადგურებინათ მათი მოსავალი, რითაც ზამთრის მარაგს უქრობდნენ. ამ დარბევამ დიდი წვლილი შეიტანა სემინოლების დამარცხებაში 1842 წელს.

1840 წლის 19 მაისს, 100 მეომარ სემინოლს სათავეში ჩაუდგა ლიდერი – „ველური კატა“, რომელთაც დახოცეს ლეიტენანტი და ხუთი ჯარისკაცი. დაუცველ ვაგონში მყოფ მგზავრებს სასტიკად გაუსწორდნენ. შტატების არმია ამას უპასუხოდ არ დატოვებდა, ამიტომ საპასუხოდ 500 ჰექტარი სიმინდის ყანა გაუნადგურეს სემინოლებს (Mahon 1985: 276). ჯარებმა დაათვალიერეს ჭაობების ტერიტორია, გაანადგურეს მინდვრები და წაიყვანეს ცხენები, პირუტყვი და ღორები. ომის სცენამ გადაინაცვლა იმ ტერიტორიებზე, სადაც სამოცდაათი ადამიანი ცხოვრობდა. 1840 წლის 7 აგვისტოს ჩაკაიკამ, კალოსაჰაჩის თავდასხმის ერთ-ერთმა ლიდერმა, გადაიყვანა ესპანელი ინდიელები ე. წ. Indian Key-მდე[7], სადაც დახოცეს 13 მოსახლე (Carrier 2005: 121) და გაანადგურეს 38 შენობა. მხოლოდ ჩარლზ ჰოუისა და უილიამ ინგლისელის სახლები გადარჩა

[7] Indian Key არის პატარა კუნძული, რომელიც მდებარეობს სამი მეოთხედი მილის გარეთ, ატლანტის ოკეანის მხარეს. Indian Key დღეს დაუსახლებელია. ის ფლორიდის სახელმწიფო პარკის სისტემის ნაწილია.

(Dodd 1948: 16). წელიწად-ნახევარი დასჭირდა ლეიტენანტ ვილიამ ჰარნის შურისძიებისთვის, რათა პასუხი ეგებებინა თავისი ცამეტი კაცის დაკარგვისთვის. 1840 წლის დეკემბერში ჰარნმა, და მასთან ერთად ოთხმოცდაათმა მეომარმა, აღმოაჩინეს ჩაკაიკას ბანაკი და მოკლეს იგი, ზოგი კი ჩამოახრჩვეს. არმისტიდმა ტომების ლიდერებს შესთავაზა 5,000 დოლარი, სანაცვლოდ იმისა, რომ თავიანთ ხალხს გაიყვანდნენ დასავლეთის მიმართულებით, რამაც შედეგი გამოიღო, 700 სემინოლი და მათ შორის შავკანიანებიც, ფლორიდის ტერიტორიას დააშორა (Covington 2017: 98-99).

არმისტიდმა მოსყიდვით, მექრთამეობით, ინდიელთა შევიწროებით თავის მიზანს მიაღწია. მართალია, პრობლემა, რომელსაც სემინოლები ქმნიდნენ სრულიად არ აღმოფხვრილა, თუმცა 700 სემინოლის გადასახლებამ „ინდიელთა ტერიტორიაზე“ საბოლოო ომზე დიდი გავლენა მოახდინა. შემცირდა მეომართა რაოდენობა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას სულ რამდენიმე ნაბიჯი ეკლდა იმისთვის, რომ ფლორიდა სემინოლებისგან დაეცარიელებინა.

სემინოლების მეორე ომის დასასრულიც მოახლოებული იყო. 1841 წლის მაისში არმისტედს ცვლის პოლკოვნიკი უილიამ უორტი, რომელმაც განაგრძო არმისტედის მიერ დაწყებული ზაფხულის „ძიების და განადგურების“ პოლიტიკა, რომელმაც განდევნა სემინოლები მათი დასაყრდენი ტერიტორიებიდან. სემინოლები კვლავაც მოსყიდვის საშუალებით გადაიყვანეს ფლორიდის ტერიტორიიდან. თანხები, რომელიც გამოყოფილი იყო ომისთვის, სწორედ მოსყიდვისა და მათი ტრანსპორტირებისთვის იხარჯებოდა. 211 სემინოლი დამორჩილდა მათ ნებას და გაუდგა „ცრემლების ბილიკს“[8].

დარჩენილ სემინოლებს, რომლებიც ვერ მოისყიდეს, შეეძლოთ მშვიდად ეცხოვრათ სამხრეთ ფლორიდის რეზერვაციაში და ომიც ამით დასრულდებოდა. მართლაც, უორტმა ომის დასრულება 1842 წლის 14 აგვისტოს გამოაცხადა (Field 2009: 19).

საინტერესოა, განვიხილოთ რა მოჰყვა მის კამპანიას. თუკი განვიხილავთ მის სამხედრო წარმატებებს, ყურადღებას გავამახვილებთ აგრესიულ ტაქტიკაზე, ქვეით ჯარსა და არტილერიაზე, რომელიც მან გამოიყენა სემინოლების წინააღმდეგ. უორტის არმიამ შეიპყრო სემინოლთა ლიდერები, დაშალეს მათი თემები და დიდი ზიანი მიაყენეს. შეიძლება ითქვას, რომ უორტის კამპანიამ ვერ მიაღწია გადამწყვეტ გამარჯვებას. ვფიქრობთ, მას სურდა კუთხეში მოექცია სემინოლები, თუმცა ტომის წევრები თავს არიდებდნენ პირდაპირ შეხვედრას ამერიკის არმიასთან, რადგან, როგორც აქამდეც აღვნიშნეთ, მათ გეგმაში პარტიზანული ომები შედიოდა. უორტმა, განსხვავებით სხვა გენერლებისგან, მოახერხა და დაასრულა ეს ომი, თუმცა, ამას სემინოლთა ყოფაც უწყობდა ხელს. ამ დროისთვის საკმარისზე მეტი სემინოლი გადასახლებული იყო „ინდიელთა ტერიტორიაზე“ და საკმარისი ძალები აღარ გააჩნდათ, რომ შებრძოლებოდნენ ამერიკის არმიას. გარდა ამისა, ამდენწლიანმა ომმა შეიძლება დანებების სურვილი გაუჩინათ და ფიქრობდნენ, რომ აზრი აღარ ჰქონ-

[8] ასე ეწოდებოდა იმ გზას, რასაც გადიოდნენ ინდიელები საკუთარი სახლებიდან ახალ მიწებამდე.

და ომის გაგრძელებას. ამით ისარგებლა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და გაჭიანურებული შვიდწლიანი ომი 1842 წელს დაასრულა შტატების არმიის გამარჯვებით.

საინტერესო იქნება განვიხილოთ, როგორ აფასებენ ამ ომს და ოცეოლას დღევანდელი გადმოსახედიდან თავად სემინოლები. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ სემინოლ ხალხს ეამაყება თავისი ისტორია და ის ხალხი, ვინც საკუთარი ტერიტორიისთვის იბრძოდა. ერთ-ერთ დოკუმენტურ ფილმში, რომელიც ეხება „დაუმარცხებელ ხალხს", აღწერენ სემინოლების მეორე ომის მნიშვნელობას როგორც სემინოლებისთვის, ამასთანავე ამერიკელი ხალხისთვისაც. მათი დამოკიდებულებიდან აშკარაა, რომ ამართლებენ წინაპრების საქციელს და ფიქრობენ, რომ არმიის საქციელზე თვალის დახუჭვა ნიშნავდა ამ ტერიტორიის დაკარგვას, მას ხომ ვერასდროს ნახავდნენ კიდევ. საინტერესოა რამდენად შეიძლება შეფასდეს ეს ომი, როგორც ამერიკის მთავრობის გამარჯვებად? თანამედროვენი არ მიიჩნევენ, რომ ეს ომი სემინოლებმა წააგეს, რადგან ისინი არ დანებებულან და ბოლომდე გმირულად იბრძოდნენ. დანებდა მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების არმია, რომელსაც აღარ სურდა ომი გაეგრძელებინა, რადგან როგორც აქამდეც აღვნიშნეთ, დიდძალი თანხები იხარჯებოდა და აღარ უღირდათ ომის გაგრძელება, მითუმეტეს, რომ მეამბოხე სემინოლები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ, უკვე გადაასახლეს „ინდიელთა მიწაზე". გადასახლებულთა რაოდენობა დაახლოებით 3,000 სემინოლს ითვლიდა (Missal, Missal 2015: 10), ქერიერი 4,000 სემინოლეს ასახელებს (Carrier 2005: 136). დაზარალდა თავად ამერიკის არმია 2,000-ზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა ამ ომში და რაც შეეხება ფინანსურ დანაკლისს, იგი ჯამში 40 მილიონ დოლარს (დღევ. ეკვივალენტით – 7 მილიარდ დოლარს) შეადგენდა (Seminole – The Unconquered 2012).

მოკლედ რომ შევაფასოთ, თუ რა გავლენა იქონია ამ ომმა ამერიკის შეერთებულ შტატებზე, შეიძლება აზრები ორად გაიყოს და დავასახელოთ როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. უმთავრესი შედეგი, რაც ამერიკისთვის მნიშვნელოვანი იყო და რატომაც წამოიწყო ეს ომი, ანუ გაეძევებინა სემინოლები ფლორიდის ტერიტორიიდან, განახორციელა, თუმცა ეს მრავალი ადამიანის სიკვდილისა და დიდი დანაკლისის, როგორც ფინანსური, ასევე ადამიანური რესურსის ხარჯზე მოხდა. სემინოლების მეორე ომი, ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული და გრძელვადიანი კონფლიქტი იყო ამერიკის ისტორიაში, რომელსაც ახორციელებდა შტატების მთავრობა მე-19 საუკუნეში. ამერიკელებს და მათ მთავრობას დიდი პრობლემები შეექმნათ, ისინი ალბათ ვერც იფიქრებდნენ, რომ ომი ამდენი ხანი გაჭიანურდებოდა და ამხელა ხარჯებს გამოიწვევდა.

თუმცა, ყველაზე საინტერესო იქნება ეს ომი შევაფასოთ მესამე განზომილებიდან[9] და დავინახოთ, თუ როგორი იყო თავად სემინოლებისთვის ეს სისხლისმღვრელი ომი, რომელთაც შედეგად მათი დამორჩილება და ტყვეობაში ყოფნა ხვდა წილად. საინტერესო იქნება ამასთანავე გავცეთ კითხვას პასუ-

[9] ფიქსიკო უწოდებს მესამე განზომილებას, ესაა ინდიელთა თვალით, მათ მიერ აღქმული და ინდიელთა პერსპექტივიდან დანახული რეალობა.

ხი, ღირდა თუ არა წინააღმდეგობის გაწევა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისთვის? თუკი ამ კითხვას დღევანდელი გადმოსახედიდან გავცემთ პასუხს, შეიძლება ვთქვათ, რომ ომის დაწყება და წინააღმდეგობის გაწევა სემინოლების მხრიდან, არ ღირდა, რადგან თუ შევადარებთ შტატების რესურსებს, რაც ამ პერიოდში გააჩნდა, ვიტყვით, რომ ტომებს გამარჯვების პატარა შანსიც კი არ ჰქონდათ და ისინი აუცილებლად დამარცხდებოდნენ. თუმცა, მოდი დავბრუნდეთ მეცხრამეტე საუკუნეში და ეს მოვლენა შევაფასოთ სემინოლების გადმოსახედიდან. მაშინ, როდესაც მტერი შედიოდა ფლორიდის ტერიტორიაზე და იკავებდა მათ მიწას, როგორ შეეძლოთ, წინააღმდეგობა არ გაეწიათ და საკუთარი ნებით დაეთმოთ ის ძირძველი მიწა, სადაც წლების მანძილზე ცხოვრობდნენ და ისტორია, რომელიც ამ ტერიტორიასთან აკავშირებდათ და ის ყოველდღიურობა, რასაც იყვნენ მიჩვეულნი. რთულია განვკიცხოთ სემინოლები და მივუთითოთ იმ ქმედებისკენ, რომელსაც საკუთარი ნებით არ განახორციელებდნენ. მითუმეტეს, რომ ისინი სულითაც მებრძოლი და ამაყი ხალხი იყო. მიუხედავად აქამდე გადატანილი პირველი ბრძოლისა და ხელშეკრულებებისა, რომელსაც ხშირად არღვევდა შტატების მთავრობა, არ შეაშინა ეს ხალხი და გმირულად იბრძოდა საკუთარი ღირსების, თავისუფლებისა და სამართლიანობისთვის, რომელიც აუცილებლად უნდა აღმდგარიყო, თუმცა, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. ომმა მრავალი ცუდი რამ მოუტანა სემინოლებს. გარდა იმისა, რომ მათ დაკარგეს ტერიტორია, მოუწიათ ახალ მიწაზე გადასვლა, რომელიც მათთვის სრულიად უცხო და გამოუყენებელი იყო. რეზერვაციაში არ ჰქონდათ თავისუფლად გადაადგილების საშუალება, ძველ ტერიტორიაზე დაბრუნების უფლება და ყველანაირად შეზღუდულ პირობებში უწევდათ ცხოვრება. სემინოლების მეორე ომში, ისევე როგორც ამერიკელებმა, სემინოლებმაც მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადეს ადამიანური რესურსისა. ისედაც მცირერიცხოვანი ტომი, უფრო მეტად შემცირდა და გარდა უშუალოდ ომში დაღუპულებისა, გარდაიცვალნენ დაავადებებითაც. თუკი ვიტყვით, რომ სემინოლებმა ფლორიდის ტერიტორია და მისი რელიეფი უკეთ იცოდნენ და შესწავლილი ჰქონდათ მრავალწლიანი ცხოვრებიდან და პრაქტიკიდან, რეალობას ნამდვილად არ ავცდებით. თუმცა საკმარისი იყო კი ამ ყველაფრის ცოდნა? ვფიქრობთ, საწყის ეტაპზე ამ უპირატესობას ნამდვილად ფლობდნენ და გამოადგათ კიდეც სემინოლებს, რადგან როგორც დავინახეთ, დეიდის, გეინსისა და სკოტის კამპანიების შემთხვევებში უპირატესობას ისინი ფლობდნენ. თუმცა მრავალწლიანმა ომმა გამოცდილება მისცა ამერიკის არმიას და უკვე იცოდნენ რა მიდგომითა და სტრატეგიით უნდა გამკლავებოდნენ სემინოლთა პარტიზანულ ომებს, ამაში კი თანხები არ დაუზოგავთ.

სემინოლების მეორე ომი ნათელი მაგალითია გმირული საქციელის გამოვლინების, საკუთარი ტერიტორიისა და თავისუფლებისთვის მებრძოლი ხალხის დაუოკებელი სურვილის, მიზნის მიღწევაში. ამ ომმა შეცვალა როგორც ამერიკის ტერიტორიის კონტურები, ამასთანავე თავად სემინოლების ყოველდღიური ცხოვრება, რაც მათ ელოდათ უკვე მათთვის ახალ და აუთვისებელ ტერიტორიაზე.

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა:

- **Anderson 2013:** Captain Michael G. Anderson, Staff Ride Handbook for Dade's Battle, Florida, 28 December 1835: A Study of Leadership in Irregular Conflict, Combat Studies Institute Press US Army Combined Arms Center Fort Leavenworth, Kansas, 2013;
- **Bennett 1836:** published by james gordon bennett, New York Herald, 1836, 22 იანვარი, №125, გვ. 2;
- **Buker 1997:** George E. Buker, Swamp Sailors in the Second Seminole War, Gainesville: University Press of Florida, 1997;
- **Carrier 2005:** Toni Carrier, Trade and Plunder Networks in the Second Seminole War in Florida, 1835-1842, Masters Thesis, University of South Florida, 2005;
- **Carter 1835**: Complited and edited by Clarence Edwin Carter, From Duncan L. Clinch to the Adjutant General, 1835, 22 იანვარი, The Territorial Papers of the United States, volume XXV, The Territory of Florida 1834-1839, გვ. 99-100;
- **Covington 2017:** James W. Covington, The Seminoles of Florida, LibraryPress@UF Gainesville, Florida, 2017;
- **Dodd 1948:** Dorothy Dodd, Jacob Housman of Indian Key, Tequesta: The Journal of the Historical Association of Southern Florida, South Florida, 1948. გვ. 3-19;
- **Field 2009:** Ron Field, The Seminole Wars 1818–58 (Men-at-Arms), Osprey publishing, 2009;
- **Hatch 2012**: Thom Hatch, Osceola and the Great Seminole War: A Struggle for Justice and Freedom, St. Martin's Press, New York, 2012;
- **Heredia, Cabail 2016:** Erika Heredia, Maria Julia Cabail, Dade's Battle, 2016. ხელმისაწვდომია: https://vlp.cah.ucf.edu/vlpedia/UCF-VLP-VLPedia-DadeBattle.pdf (ბოლოს დამოწებულია 22. 09. 2023);
- **Homans 1836**: edited and published by B. Homans, „The Seminole Indians-War in Florida", გაზეთი „Army and Navy Chronicle", 1836, 21 იანვარი, №2-3, გვ. 11 (წიგნში: 2006 წ. გვ. 44);
- **Knetsch 2003:** Joe Knetsch, Florida's Seminole Wars, 1817-1858, S. C.: Arcadia Publishing, Charleston, 2003;
- **Mahon 1985:** John K. Mahon, History of the Second Seminole War. Gainesville: University of Florida Press, 1985;
- **Missal, Missal 2015:** John Missal, Mary Lou Missal, Florida Seminole Wars Heritage Trail Guide, Florida Department of State, Division of Historical Resources, Florida, 2015;
- **Palmer 1836:** edited and published every Friday by Thomas B. Palmer, Florida, Southern Teleghaph, 1836, 8 აპრილი, №9 (№113), გვ. 1;
- **Rizzi 2016:** Christine A. Rizzi, „The Indians Are Scattering, I Fear": Mobility and Power in the Second Seminole War, The Florida Historical Quarterly, Vol. 94, № 3, 500 Years of Florida History—The Nineteenth Century: 1800 to 1870, 2016;
- **Scallet 2011:** Daniel Scallet, This Inglorious War: The Second Seminole War, the Ad Hoc Origins of American Imperialism, and the Silence of Slavery, Washington University in St. Louis, Missouri, 2011;
- **Seminole – The Unconquered (How the west was lost) 2012.** ხელმისაწვდომია: https://youtu.be/9dQvqlC3EuA (ბოლოს დამოწმებულია: 19.06.2023);
- **Sprague 1848:** John T. Sprague, Origin, Progress, and Conclusion of the Florida War. Gainesville: University of Florida Press, 1848;

▶ **White Jr. 1950:** Frank F. White Jr., A Journal of Lt. Robert C. Buchanan during the Seminole War, The Florida Historical Quarterly, Florida, Vol. 29, № 2, 1950, ȣ3. 132-151.

Mariam Khamitsashvili
Researcher at The Centre For the Contemporary History

THE SECOND SEMINOLE WAR: FIGHT FOR TERRITORY AND FREEDOM (SUMMARY)

The Second Seminole War, a decisive moment in American history and in the everyday life of the Seminoles, is a topic of poor interest in our country, Georgia, and the reader will get to know the narrative through this article. It is an unexplored issue in the Georgian scientific space and does not have a wide appeal. In this article, we will try to convey the 19th century conflict and brutal war campaigns that took place between the States and the Seminoles in an understandable way. Studying the Second Seminole War is not just a trip back in time, but an opportunity to shed light on a forgotten episode that shaped the course of American history. In this article, we will try to answer the following questions: What was the course of the war? Who benefited from the war? What were the consequences for both the Americans and the Seminoles themselves, and how were their lives affected by the war.